

ბრძანების პროექტი

თბილისი

№ 715/03

28 ნოემბერი 2016წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების” მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 14 ნოემბრის №855 ბრძანების გათვალისწინებით,

ებრძანებ:

- I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე- ვიშნავი პარამბუმელ რემეშ.
- II. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის, ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს სირიის არაბული რესპუბლიკის მოქალაქე- მოჰამედ შაისა.
- III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს,

თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს ლ. მასხულიას.

IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

V. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს ლ. მასხულიას, მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს დ. დელიბაშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VI . ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი